საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №65/ნ
2014 წლის 6 ივნისი

ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში (სსმ, 163, 14/12/2010; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016036) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-5 პუნქტით დამტკიცებულ „კვალიფიკაციის ფორმირების წესს“ (დანართი №5) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. გამონაკლის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ვადის მიუხედავად, ცენტრში განცხადების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ცენტრის დირექტორის თანხმობის შემთხვევაში. ცენტრის დირექტორის თანხმობა უნდა ემყარებოდეს გამონაკლისის დაშვების შესახებ დაინტერესებული პირის დასაბუთებულ მოთხოვნას.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ქეთევან ნატრიაშვილი**